ჭეშმარიტი პროგრესი — შვიდწლედის ბერკეტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 161 (11772)

ოთხშაბათი, 13 ივლისი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს მოსკოვში გაიხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი



ჩვენი წინსვლის არტერია

დღეს მოსკოვში მუშაობას შეუდგება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც განიხილავს მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარების და წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების დანერგვის შესახებ სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხს.

ჩვენი დიდი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და საკონსტრუქტორო ბიუროებმა პარტიის XXI ყრილობისა და ივნისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. მარტო შარშან შექმნეს ორი ათასზე მეტი ახალი სახეობის მანქანები, მექანიზმები, აპარატები და მოწყობილობა, რომელთა ნაწილი წარმოებაში დანერგილია, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისება მიმდინარეობს. 1959 წელს დაინერგა 1.750-ზე მეტი მექანიზებული, ავტომატური და ნახევრად ავტომატური ხაზი, დიდძალი ავტომატური და ნახევრადავტომატური მოწყობილობა. ყოველივე ამის შედეგად სსრ კავშირის სამრეწველო წარმოების ნახევარი წლის გეგმა საერთო მოცულობის მხრივ 104 პროცენტით შესრულდა, ხოლო გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდა 10 პროცენტით და უფრო მეტად.

ამ საერთო მიღწევებში თავისი გარკვეული წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს და საკონსტრუქტორო ბიუროებს. მარტო შარშან საქართველოში განხორციელდა 400-მდე ღონისძიება ტექნიკური პროგრესის დარგში, რომლებმაც 72 მილიონი მანეთი ეკონომია მოგვცა. რესპუბლიკის საწარმოებში მზადდება მთელი რიგი ახალი გაუმჯობესებული მანქანები, ხელსაწყოები და ჩარხები, რომელთა დანერგვამ წარმოებაში მნიშვნელოვნად აამაღლა შრომის ნაყოფიერება, შეამსუბუქა მუშათა შრომა.

ახალი მანქანებისა და ხელსაწყოების ათვისებისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება 105 პროცენტით შეასრულა. გეგმების გადამეტებით გამოშვებულია მრავალი ათეული ტონა ფოლადი, თუჯი, მილები, მარგანეცი, ქვანახშირი, მრავალი სახის მანქანები და მოწყობილობა, მსუბუქი და კვების მრეწველობის დიდძალი პროდუქცია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 10 პროცენტით, მნიშვნელოვნად ამაღლდა მუშათა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, ზეგეგმითი ეკონომიდან რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია მრავალი ათეული მილიონი მანეთი.

შვიდწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის ბევრი საწარმოს კოლექტივმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ამირკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში შვიდწლედის განვლილ პერიოდში ტექნიკური პროგრესის დარგში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული. აქ მთავრდება მილსაგლინავე აგრეგატ „400“-ის კომპლექსური ავტომატიზაცია, ათი ათასი ოპერაცია 600 მეტრზე მეტი საერთო სიგრძის ავტომატიზებულ ხაზზე ადამიანის ჩაურევლად სრულდება. ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული საწარმოებიდან პირველად აქ დაინერგა მილსამზადის ცეცხლით გაწმენდა. ახალი მეთოდი მნიშვნელოვნად ამსუბუქებს შრომის პირობებს და აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. მარტო ამ ღონისძიების დანერგვით საწარმო წელიწადში ნ მილიონ მანეთ ეკონომიას მიიღებს. მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მოწინავე ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვამ საწარმოს კოლექტივს საშუალება მისცა ყოველთვის მთელი მეტალურგიული ციკლით ასრულებდეს საწარმოო დავალებას.

ტექნიკური პროგრესის დარგში სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა. ამ საწარმოს მიერ გამოშვებულმა რვაღერძიანმა ელმავალმა კარგად ჩაიბარა გამოცდა და საერთო მოწონება დაიმსახურა. ამჟამად დიდი მუშაობა მიმდინარეობს ამ ელმავლის მოდერნიზაციისათვის. ელმავლის ძარა კეთდება მზიდი ჩარჩოთი. შეუერთებელი ურიკით, რაც აუმჯობესებს ლოკომოტივის მუშაობას მოსახვევში. სერიულ ელმავლებთან შედარებით მისი სიმძლავრე გაიზრდება 25 პროცენტით, ხოლო სიჩქარე — საათში 110 კილომეტრამდე. ახალი კონსტრუქციის ელმავალი გაცილებით ძძიმე წონის შემადგენლობებს გადიდებული სიჩქარით წაიყვანს. ელმავალზე გამარტივებულ იქნა აგრეთვე რადიოგადაცემისა და ტელეგადაცემის ხელშემშლელი მიზეზების ჩამქრობი მოწყობილობის სქემა. დაპროექტებულია ცურების ახალი რელე, რომელიც უფრო მგრძნობიარე და ამასთან უფრო ეკონომიურია. დაპროექტდა და დამზადდა პანტოგრაფის ამწევი კორპუსი, რომელმაც საგრძნობლად გააუმჯობესა მემანქანის მუშაობა.

ახალი ტექნიკის დანერგვის, მანქანადანადგარების მექანიზაციის, მოდერნიზაციის და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისათვის ბრძოლაში მოწინავე საწარმოთა რიგებში დგას თბილისის სართავ-სატრაკტორო კომბინატი. აქ 128 სართავი მანქანა აღიჭურვა შლილი ფთილის შემკრები მოწყობილობით, რამაც 10-12 პროცენტით გაზარდა მანქანის წარმადობა, მოდერნიზებულ იქნა 6 საჩეჩი მანქანის მიმღები კვანძი, 15 საჩეჩ მანქანაზე დაიდგა ელექტროგასაჩერებელი, რამაც საგრძნობლად შეამცირა ნახვეწის რაოდენობა. საფთილე-მანქანებზე დაინერგა 4.000 თითსტარის ახალი სახის შემჭიდროებლი მოწყობილობა, რამაც გაზარდა მანქანის წარმადობა და გაათმაგებსა პროდუქციის ხარისხი. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კომბინატის კოლექტივმა შვიდწლედის მეორე წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება 18 ივნისისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით მისცა სამშობლოს რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

ტექნიკური პროგრესის ბევრი მნიშვნელოვანი და მტკივნეული საკითხი გადაწყდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მუშაკთა თანამეგობრობით. მეორე საამქროს სპეციალურად დახურულ ღუმელში მოეწყო საქარხნო ცდები ნახშირბადიანი ფერომანგანუმისა და სილიკომანგანუმის გამოდნობაზე გამავალი აირების დასაშვერად. დადგინდა მანგანუმისაგან შენადნობთა წარმოებაში დახურული ელექტროღუმელების გამოყენების შესაძლებლობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეტალურგიაში. ელექტროდების წესიერ მართვაზე დიდად არის დამოკიდებული დნობის პროცესის ნორმალური მსვლელობა, წარმადობის ზრდა. ამ საკითხზე კარგა ხანს იმუშავა თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფმა, რომელმაც მეორე სამჭრო კოლექტივთან მჭიდრო თანამეგობრობით შექმნა ღუმელის სიმძლავრის პროგრამული მართვის გამომთვლელი მათემატიკური მანქანა. იგი ამსუბუქებს შრომას, აუმჯობესებს ლითონის დნობის ტექნოლოგიას, ზოგავს ელექტროენერგიას. საწარმოში მოეწყო აგრეთვე ცდები ჭიათურის მარგანეცის ღარიბ მადნებზე. მიღებულია დადებითი შედეგები ღარიბი მადნების მეტალურგიაში გამოსაყენებლად.

ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებში, შახტებში დღითიდღე ფართოვდება ბრძოლა ახალი ტექნიკის ათვისებისა და შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევისათვის. ამ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით წარმოების ნოვატორებს, რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებისათვის მებრძოლებს, რომლებსაც წინ მიაქვთ ტექნიკური პროგრესის საქმე. ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელ ორ წელიწადში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი, რომლებმაც სასარგებლო წინადადებანი შეიტანეს, 24 პროცენტით გადიდდა. 38.504 წინადადებიდან განხორციელდა 21.242 წინადადება და მიღებულია 145 მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია.

მიღწევებთან ერთად რესპუბლიკის ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ზოგან შეუწყნარებლად ჰიანურდება ახალი ტექნიკის ათვისება, უყურადღებოდ ტოვებენ ბევრ სასარგებლო გამოგონებასა და წინადადებას. აქიანურებენ მათ დანერგვას წარმოებაში. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და დარგობრივმა სამმართველოებმა ამთავითვე ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რომ დარჩარღეს ტექნიკური პროგრესი და ისე მოაწყონ მუშაობა, რომ ყველა საწარმომ შეასრულოს მიმდინარე წლის საწარმოო დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ნახევარი წლის მუშაობის შედეგები მოწმობენ, რომ საქართველოს მშრომელები წარმატებით შეასრულებენ შვიდწლედის მეორე წლის საწარმოო დავალებას. ახლა მთავარია პარტიულმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და სამეურნეო ხელმძღვანელობამ უფრო გონივრულად გამოიყენონ არსებული ტექნიკა, შეიმუშაონ მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა ათვისებისა და დანერგვის, საწარმოო რეზერვებისა და ფართობების უკეთ გამოყენების გეგმა, რათა ვადამდე დავიპყროთ შვიდწლედის ზღუდეები.

ვიცით?

□ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს საუკეთესო შრომითი მიღწევებით შეხვდა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი. რუსთავის მეტალურგებმა ორი დღით ადრე სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის დავალება. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და სხვა პროდუქცია.

□ **ამიერკავკასიის** რკინიგზის კოლექტივმა ავტომატიზაციით, სატვირთო სალიანდაგო და სხვა სამუშაოთა მექანიზაციით მიმდინარე წლის ბუთ თვეში დაზოგა და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 17 მილიონი მანეთი.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეორე საამქროს კოლექტივმა ვადაზე ორი კვირით ადრე შეასრულა ნახევარი წლის საწარმოო დავალება. სამშაბლომ გეგმის გადამეტებით მიიღო ათასობით ტონა ძვირფასი ფეროშენადნობი. დაზოგილია ნახევარი მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

□ **ბათუმის** საწარმოთა კოლექტივებმა ნახევარი წლის პროგრამა ვადაზე 9 დღით ადრე გაასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დიდძალი მოწყობილობა კვების მრეწველობის საწარმოებისათვის, ავეჯი, ფეხსაცმელი, საშვნი მასალა.

□ **შვიდწლედის** პირმშოა ზესტაფონის ქაბელის ქარხანა, რომლის კოლექტივმა თავი ისახელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ალსანიშნავ შეჯიბრებაში. ქართველმა მეკაბელეებმა გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით კაბელი გამოუშვეს. ამჟამად ქარხანაში წარმოებს ახალი სახის პროდუქციის — მაღალი სიხშირის გამტარების ათვისებას.

ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია

12 ივლისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრნენ საბჭოთა და საზღვარგარეთის გაზეთების, ტელეგიზიის კორესპონდენტები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გააკეთა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავმა 1 ივლისს კვლავ უხეშად დაარღვია საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცე.

განცხადების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე .(საკვლევი).

ნ. ს. ხრუშჩოვის განცხადება

12 ივლისს კრემლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

„თქვენ უკვე იცით, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობამ გუშინ მტკიცე პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ნორვეგიის მთავრობებს იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა კვლავ უხეშად დაარღვია ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცე.

ეს მოხდა 1 ივლისს. ამერიკის სამხედრო თვითმფრინავმა ბარენცის ზღვაში, კოლის ნახევარკუნძულის მახლობლად, დაარღვია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი წმინდა ცხვირის კონცხის ახლოს და არხანგელსკის მიმართულებით მოდიოდა. აუცილებლად სჭირდებოდათ მათ ეს წმინდა ცხვირი, და აი ჩვენს საზღვრებში შემოსჩარეს კიდევაც თავისი ცხვირი. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

საზღვრის დამრღვევი თვითმფრინავი არ დაიმორჩილა სიგნალებს, რომლებსაც ჩვენი ავიაგამანადგურებელი აძლევდა, როცა მოითხოვდა, რომ თვითმფრინავი გაჰყოლოდა. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირის საზღვრების დაცვის შესახებ იმ ბრძანებას შესაბამისად, რომელიც საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს აქვს მიცემული, ჩვენი ავიაგამანადგურებელი იძულებული იყო სროლა აეტეხა სტრატეგიული დამრღვევი თვითმფრინავისათვის და ჩამოაგდო იგი.

უფრო გვიან საბჭოთა ტერიტორიულ წყლებში აღმოჩენილ იქნა ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავის ეკიპაჟის ორი წევრი — შტურმანი და მეორე პილოტი.

მათი ჩვენებით გამოირკვა, რომ ეს ექვსმოტორიანი „რბ-47“ თვითმფრინავი გამოფრინდა ინგლისის ტერიტორიაზე მდებარე ამერიკის სამხედრო ბაზიდან და საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი საზღვრების გასწვრივ უნდა ეფრინა ჯაშუშური დავალებით, შემდეგ კი დაბრუნებულიყო ინგლისში.

ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცის ახალი უხეში დარღვევის ფაქტი მოწმობს იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ხელი არ აუღია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიის აქტების განხორციელების პოლიტიკაზე.

ამ შემთხვევაში ამერიკის თვითმფრინავის შემოჭრა დასაწყისშივე აღიკვეთა, ამიტომ საბჭოთა მთავრობა დასჯერდა ამ თვითმფრინავის მოსპობას; ეკიპაჟის ცოცხლად გადარჩენილი წევრები მიცემული იქნებიან სამართალში საბჭოთა კანონების შესაბამისად. ნუ ექნებათ ბატონ პროვოკატორებსა და მათი ბოროტი ნების ამსრულებლებს ასეთი მოქმედების დაუსჯელობის იმედი.

ჩვენ გავაფრთხილეთ შეერთებული შტატების მთავრობა, თუ რა მძიმე პასუხისმგებლობა იკისრა, როცა ახორციელებს პროვოკაციებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამერიკელმა ხალხმა, ისევე როგორც მსოფლიოს მთელმა საზოგადოებრიობამ, სიმართლე უნდა იცოდეს. მათ უნდა იცოდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სახიფათოდ ეთამაშება მსოფლიოს ბედს, ხალხთა ბედს.

ამერიკის სადაზვერვო თვითმფრინავის მიერ 1 ივლისს საბჭოთა კავშირის საზღვრის დარღვევა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მუხანათობის ახალი აქტია. ამერიკის „რბ-47“ სამხედრო თვითმფრინავის პროვოკაციული ფრენა მოწმობს, რომ პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მაისის დაპირებანი პარიზში იმის შესახებ, რომ შეწყვეტდა ჯაშუშურ ფრენას საბჭოთა კავშირის ფარგლებში, გაბვრეტილ ფარადაც არა ღირს.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს ის უღირსი როლი, რომელიც ამ პროვოკაციულ საქმეში შეასრულა ინგლისის მთავრობამ. იგი გამოვიდა როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო თანამონაწილე. ასეთი როლი ყოველად შეუთავსებელია ინგლისის მთავრობის იმ ოფიციალურ განცხადებებთან, რომ მიისწრაფვის ხელი შეუწყოს დაძაბულობის შენელებას და გაუმჯობესოს თავისი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

იბადება აგრეთვე კითხვა — შეიძლება თუ არა დავუჯეროთ ნორვეგიის მთავრობის განცხადებებს, რომელმაც 27 მაისის ნოტით აღგვითქვა, რომ მიიღებდა ღონისძიებებს, რათა შეეჩერებინათ ნორვეგიის ტერიტორია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიული მიზნებისათვის? ცნობილი ფაქტების მიხედვით ნორვეგიის მთავრობის პოზიცია, სულ მცირე რომ ვთქვათ, უგუნური და სახიფათოა ნორვეგიელი ხალხისათვის.

საბჭოთა მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მინდა მთელი პასუხისმგებლობით მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ყურადღება მივაპყრო იმას, რომ შეერთებული შტატების მმართველი წრეები აგრესიულ ბლოკებში მათი მოკავშირეების ხელშეწყობით აწყარა პროვოკაციით იწვევენ სერიოზულ სამხედრო კონფლიქტს. სხვანაირად მათი მოქმედების შეფასება არ შეიძლება.

საბჭოთა კავშირი კვლავაც დაიცავს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებს. დიდად ცდებიან ისინი, ვინც მიზნად დაისახა გამოსცადოს ჩვენი მოთმინება. ჩვენ არ ვურჩევთ მათ იმოქმედონ ასე. საბჭოთა კავშირი და ჩვენი მოკავშირეები, რომლებთანაც შესაბამისი ვალდებულებანი გვაკავშირებს, შეძლებენ საკადრისი პასუხი გასცენ ყოველ აგრესორს“.

ვიცით?

ჟუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ამწყობი ზეინკალი იოსებ ხაზარაძე მრავალი ტექნიკური სიახლით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს. მის ანგარიშზეა 250-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება. ამ წინადადებათა დანერგვით მან დღემდე მილიონ მანეთზე მეტი ეკონომია მისცა მშობლიურ საწარმოს. მომავალს მზერავი მუდამ წინ იყურება, ღირსეული წვლილი შეაქვს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის წინადღეებში ი. ხაზარაძის ინიციატივით საწარმოში შეიქმნა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელმაც შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინა — იკისრა წლის ბოლომდე რესპუბლიკურ ფონდში შეეტანოს მილიონი მანეთი.

ფოტო ე. ციციაშვილისა.



ვოსკოვი, ჩვენი მოსკოვი! — გულით ვემღერით ამ ძვირფას სიტყვებს და მთელი სიდიადით წარმოგვიდგება თვალწინ მშვიდობის დიდი დედაქალაქი, ჩვენი დიადი სამშობლოს გული და კაცობრიობის ყველა მშრომელის სანუკვარი ადგილი. ლალის ვარსკვლავებით აჭრელან ცაში კრემლის კოშკები, დიდი ცხოვრება ჩქეფს დედაქალაქის განიერ, ლარივით გაწოლილ პროსპექტებსა და ქუჩებში.

გვიყვარს, გვხიბლავს, სილამაზით გვაზიდავს და გვინდა მუდამ დიდებით ვახსენოთ მრავალმილიონიანი მოსკოვი, ჩვენი შესანიშნავი მოსკოვი.

სურათზე: მოსკოვის ერთ-ერთი ხიდი სასტუმრო „ბუქარესტიდან“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

კუბის პრეზიდენტის განცხადება

ჰავანა, 12 ივლისი. (საკვლესი). კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა საკვლის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

„კუბის ხალხისა და მთავრობის სახელით მადლობას ვუხდი საბჭოთა კავშირის ხალხს, მთავრობასა და პრემიერ-მინისტრ ნ. ს. ხრუშჩოვს ჩვენი ხალხისა და ჩვენი რევოლუციისადმი სოლიდარობისათვის. ვფიქრობ, ის დღე, როცა პრემიერ-მინისტრმა ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა არტილერია მზადაა მხარი დაუჭიროს კუბას, ისტორიული თარიღია მთელი მსოფლიოსათვის.

ეს განცხადება მოწმობს იმას, რომ პატარა ქვეყნის ხალხები, დამონებული ხალხები მარტოდმარტონი როდი არიან ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

აშშ დემოკრატიული პარტიის ყრილობა

ლოს-ანჟელოსი, 12 ივლისი. (საკვლესი სპეც. კორ.). 11 ივლისს ლოს-ანჟელოსში დახურული სტადიონის შენობაში გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობა. ყრილობამ უნდა აირჩიოს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობისა და ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატები.

ყრილობას ესწრება დაახლოებით ხუთი ათასი დელეგატი და დელეგატობის კანდიდატი. დამახასიათებელია, რომ ყრილობის ორგანიზატორების მოლოდინის წინააღმდეგ, საზოგადოებისათვის განკუთვნილი გალერეები სანახევროდ ცარიელია.

როგორც ცნობილია, დემოკრატიული პარტიისაგან პრეზიდენტობის პრეტენდენტები არიან სენატორი კენედი, დემოკრატთა ლიდერი სენატში ჯონსონი, სენატორი სიმინგტონი და ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პარტიის ლიდერი სტივენსონი.

დეპეშა ვენესუელიდან

ხალხი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს...

გუშინ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის სახელზე ვენესუელის დედაქალაქ კარაკასიდან მოვიდა დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს იმპრესარიო ენრიკო კვეზედა.

დეპეშაში ნათქვამია:

საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის გასტროლებმა ვენესუელაში უდიდესი წარმატებით ჩაიარა. პრესა ანსამბლს მეტად მაღალ შეფასებას აძლევს. დასკვნით კონცერტზე ქართველმა მსახიობებმა ვენესუელური ცეკვები შეასრულეს. ხალხი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს... თერთმეტ ივლისს ანსამბლი კოლუმბიაში გაფრინდა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ახორციელებენ რა სკკპ XXI ყრილობის მიერ მიღებულ შვიდწლიანი გეგმის დიდებულ პროგრამას, საბჭოთა კავშირის მშრომელებმა 1960 წლის განვლილ პირველ ნახევარში მიაღწიეს ახალ წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში და მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას.

I. მრეწველობა

ემზადებიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იკლისის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის, სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს გეგმის ვადამდე შესრულების, უახლესი ტექნიკის დანერგვისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. მრეწველობაში ფართოვდება შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და საწარმოების წოდებისათვის.

მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს წლის პირველი ნახევრის გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის დარგში და ფოლადის, შავი ლითონების ნაგლინის წარმოების, რკინის მადნის მოპოვების, ფერადი ლითონების, მანქანათმშენებლობის ბევრი სახეობის პროდუქციის, ელექტროენერგიის წარმოების, ნავთობის, ქვანახშირის მოპოვების, მინერალური სასუქების, გოგირდმჟავის, კალცინირებული სოდის, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, ავტომობილის საბურავების, ქსოვილების, სასაცვლე და ზედა ტრიკოტაჟის, წინდის ნაწარმის, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, ძეხვეულის ნაწარმის, კონსერვებისა და სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების დარგში.

წლის პირველი ნახევრის გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მხრივ 104 პროცენტით შესრულდა, ამასთან სამრეწველო წარმოება უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა, ვიდრე გეგმით მთლიანად 1960 წლისათვის იყო გათვალისწინებული. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა გადიდდა 10 პროცენტით და უფრო მეტად, ანუ თითქმის 70 მილიარდი მანეთით.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა მთლიანად სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ყველა სახალხო მეურნეობის საბჭომ, გარდა აქტიუბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოსი, რომელმაც გეგმა შეასრულა 99,6 პროცენტით. სამრეწველო წარმოების მოცულობა მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით გაიზარდა შემდეგი ოდენობით:

	საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების პროცენტი 1960 წლის პირველ ნახევარში	1960 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1959 წლის პირველ ნახევართან შედარებით
რუსეთის სფსრ	104	110
უკრაინის სსრ	103	109
ბელორუსიის სსრ	105	114
უზბეკეთის სსრ	106	115
ყაზახეთის სსრ	104	114
საქართველოს სსრ	105	110
აზერბაიჯანის სსრ	108	112
ლიტვის სსრ	106	116
მოლდავეთის სსრ	105	108
ლატვიის სსრ	106	117
ყირგიზეთის სსრ	102	113
ტაჯიკეთის სსრ	104	114
სომხეთის სსრ	104	114
თურქმენეთის სსრ	102	108
ესტონეთის სსრ	104	112

საერთო პროდუქციის ზრდამ სახელმწიფო მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით შეადგინა:

	1960 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1959 წლის პირველ ნახევართან შედარებით
შავი და ფერადი მეტალურგია	110
სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობა	109
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	117
ქიმიური და რეზინის მრეწველობა	111
საშენ მასალათა მრეწველობა	118
ხეტყეო, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობა	107
მსუბუქი მრეწველობა	109
კვების მრეწველობა	105

შავი ლითონების წარმოების ზრდის ტემპებმა განვლილ ნახევარ წელიწადში გადააჭარბა ზრდის იმ საშუალო წლიურ ტემპებს, რომლებიც დასახულია სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით. რკინის მადნის მოპოვება წლის პირველ ნახევარში იზრდებოდა ისეთი ტემპებით, რომლებიც წინ უსწრებენ თუჯის გამოდნობის ზრდის ტემპს.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა **ყველაზე ეკონომიური სახეობის სათბობის — ნავთობისა და გაზის ხვედრითი წონა სათბობის საერთო მოპოვებაში.**

გაიზარდა ქიმიური მრეწველობის დიდმნიშვნელოვან სახეობათა პროდუქციის წარმოება. მაგალითად, სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების წარმოება 1960 წლის პირველ ნახევარში 1959 წლის პირველ ნახევართან შედარებით გაიზარდა 11 პროცენტით, აქედან პოლიეთილენის წარმოება, რომელსაც ძირითადად იყენებენ მილების დასამზადებლად, კაბელის მრეწველობაში სადენების დასაფარავად — 66 პროცენტით; კარბამიდული ფისებისა, რომლებსაც ფანერისა და ავეჯის წარმოებაში იყენებენ, — 56 პროცენტით, წნეხილი ფხვნილისა და ამინოპლასტებისა მანქანათმშენებლობისათვის, ელექტროდანადგართა ნაკეთობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის დასამზადებლად — 20 პროცენტით, პოლმსტიროლისა და სტიროლისთანაპოლიმერებისა მანქანათმშენებლობისათვის, ბეკრისი და თბოსაიზოლაციო მასალებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის დასამზადებლად — 23 პროცენტით. არასაკვები ნედლეულისაგან ეთილის სპირტის წარმოება გადიდდა 14 პროცენტით, აქედან სინთეზური სპირტისა — 20 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა წარმოება მასალებისა მშენებლობის საჭიროებისათვის, რომლებიც მზადდება პლასტიკური მასებისა და სინთეზური ფისების გამოყენებით, აგრეთვე წარმოება ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ნაწარმისა ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების გამოყენებით. გადიდდა აგრეთვე სინთეზური ამიაკის, კაუჩუკის, კალცინირებული სოდისა და სხვა ქიმიკატების წარმოება.

მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება 1960 წლის პირველ ნახევარში ვითარდებოდა ისეთი ტემპებით, რომლებიც წინ უსწრებს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის ზრდას. ამასთან ყველაზე სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა ქიმიური მრეწველობის, ხელსაწყოების, მოწყობილობისა და აპარატურის, ნავთობის აპარატურის, სამაგისტრალო თბომავლების, ექსკავატორების წარმოება.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1960 წლის პირველ ნახევარში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1960 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულების პროცენტი	1960 წლის პირველი ნახევარი პროცენტობით 1959 წლის პირველ ნახევართან შედარებით
თუჯი — მილიონობით ტონა	22,9	109
ფოლადი — მილიონობით ტონა	32,0	109
ნაგლინი — მილიონობით ტონა	25,2	109
ფოლადის მილები — მილიონობით ტონა	2,8	111
რკინის მადანი — მილიონობით ტონა	51,7	112
კოქსი — მილიონობით ტონა	27,7	105
ნავთობი — მილიონობით ტონა	70,7	115
გაზი — მილიარდობით კუბური მეტრი	22,5	129
ქვანახშირი — მილიონობით ტონა	257	102
აქედან საკოქსე ქვანახშირი	54	109
ფიქალები — მილიონობით ტონა	6,9	108
ელექტროენერგია — მილიარდობით კილოვატ-საათი	142	111
მინერალური სასუქები — მილიონობით ტონა	6,8	107
გოგირდმჟავა — მილიონობით ტონა	2,7	107
ხელოვნური და სინთეზური ბოჭკო ათასობით ტონა	99,6	113
ავტომობილის საბურავები — მილიონობით ცალი	8,4	110
ტურბინები — მილიონობით კილოვატი	4,5	115
ტურბინების გენერატორები — მილიონობით კილოვატი	3,6	117
ელექტრომამწევები დიდი — ათასობით ცალი	3,9	119
ცვლადი დენის ელექტროძრავები — მილიონობით კილოვატი	9,5	111
ელექტროვაკუუმური ხელსაწყოები — მილიონობით ცალი	63,0	104
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასობით ცალი	75,1	103
სამჭედლო-საწნეხი მანქანები ათასობით ცალი	14,8	106
ხელსაწყოები — მილიარდობით მანეთისა	5,2	119
მეტალურგიული მოწყობილობა — ათასობით ტონა	109	103
ნავთობაპარატურა — ათასობით ტონა	46	120
ქიმიური მოწყობილობა — მილიონობით მანეთისა	1.039	154
საქსოვი დაზგები — ათასობით ცალი	8,4	104
სამაგისტრალო თბომავლები — ცალობით	623	140
სამაგისტრალო ელმავლები — ცალობით	208	101
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები — ათასობით ცალი	18,6	94
სამაგისტრალო სამგზავრო ვაგონები ცალობით	692	80
ტროლეიბუსები — ცალობით	255	100,7
ავტომობილები — ათასობით ცალი	257	106
აქედან:		
სატვირთო ავტომობილები და ავტობუსები	189	105
მსუბუქი ავტომობილები	68	110
ბურთულა და გორგოლაჭიანი საკისრები — მილიონობით ცალი	181	106
ტრაქტორები — ათასობით ცალი (ფიზიკური ერთეულები)	119	113
ტრაქტორის გუთნები — ათასობით ცალი	81,0	94
ტრაქტორის სათესი მანქანები — ათასობით ცალი		
კიდული	36,7	166
მისაბმელი	22,4	86
მარცვლეულის თვითმავალი კომბაინები — ათასობით ცალი	28,1	107
ტრაქტორის სათიბი მანქანები — ათასობით ცალი		
კიდული	21,4	111
მისაბმელი	22,1	99
მარცვალსაწმენდი მანქანები — ათასობით ცალი	8,3	127
ექსკავატორები — ათასობით ცალი	5,7	119
ავტოგრეიდერები — ათასობით ცალი	1,5	105
სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნეობათა მიერ გამოზიდულის გარდა) — მილიონობით კუბური მეტრი	134	102
ქაღალდი — ათასობით ტონა	1.185	103
ცემენტი — მილიონობით ტონა	21,7	117
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — მილიონობით კუბური მეტრი ნაკეთობა	15	124
აგური (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულის გარდა) — მილიარდობით ცალი	15	109
შიფერი — მილიონობით პირობითი ფილა	1.432	110
რბილი სახურავი — მილიონობით კვადრატული მეტრი	367	107
ფანჯრის მინა — მილიონობით კვადრატული მეტრი	69,7	106
სტანდარტული სახლები და ადგილობრივი საშენი მასალის კედლებიანი სტანდარტული და ტიპური სახლების დეტალების კომპლექტები — მილიონობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი	6,1	121
ბამბის ქსოვილები — მილიონობით კვადრატული მეტრი	2.447	109
შალის ქსოვილები — მილიონობით კვადრატული მეტრი	216	108
სელის ქსოვილები — მილიონობით კვადრატული მეტრი	264	111
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონობით კვადრატული მეტრი	339	97
წინდები — მილიონობით წყვილი	488	107
სასაცვლე ტრიკოტაჟი — მილიონობით ცალი	282	109
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონობით ცალი	54,8	108
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი	210	110
მოთელილი ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი	15,8	102
ყველა სახეობის ხათგები — მილიონობით ცალი	12,8	98
ფოტოაპარატები — ათასობით ცალი	874	108
რადიომიმღებები — მილიონობით ცალი	2,1	104
ტელევიზორები — ათასობით ცალი	706	136
საყოფაცხოვრებო მაცივრები — ათასობით ცალი	256	119
საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანები — ათასობით ცალი	458	136
საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები—მილიონობით ცალი	1,5	107
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასობით ცალი	269	118
ველოსიპედები — მილიონობით ცალი	1,4	79
პიანინოები და როიალები — ათასობით ცალი	41,7	113
ავეჯი — მილიარდობით მანეთისა	5,4	120
ლითონის საწოლები — მილიონობით ცალი	6,5	99
ხორცი (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულისა და მოსახლეობის შინ წარმოებულის გარდა)— მილიონობით ტონა	1,4	117
ძეხვეული — ათასობით ტონა	619	117
თევზი — მილიონობით ტონა	1,9	126
ერბო-კარაქი და მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (კოლმეურნეობათა მიერ წარმოებულისა და მოსახლეობის შინ წარმოებულის გარდა) — მილიონობით ტონა	11	100,2
კონსერვები (სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების მრეწველობაში) — მილიარდობით პირობითი ქილა	1,2	104
ჩაი — ათასობით ტონა	82	104
საპონი — ათასობით ტონა	776	102

მნიშვნელოვნად გაიზარდა მძიმე მრეწველობის პროდუქციის წარმოება. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოებულია მეტი: თუჯი — 1,9 მილიონი ტონა, ფოლადი — 2,7 მილიონი ტონა, ნაგლინი — 2,2 მილიონი ტონა, რკინის მადანი — 5,4 მილიონი ტონა, ფოლადის მილები — 284 ათასი ტონა, ნავთობი — 9 მილიონი ტონა, გაზი — 5 მილიარდი კუბური მეტრი, ქვანახშირი — 5,4 მილიონი ტონა, აქედან საკოქსავი ქვანახშირი — 4,7 მილიონი ტონა; ელექტროენერგია — 15 მილიარდი კილოვატ-საათი, მინერალური სასუქები — 452 ათასი ტონა, ლითონსაჭრელი ჩარხები — 2,2 ათასი ცალი, ქიმიური მოწყობილობა — 364 მილიონი მანეთისა, ცემენტი — 3,1 მილიონი ტონა, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — 2,9 მილიონი კუბური მეტრი ნაკეთობანი. გაიზარდა ალუმინის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, მაგნიუმისა და მაგნიუმის შენადნობთა, ნიკელის, ტიტანის, კობალტის წარმოება.

მნიშვნელოვნად გაიზარდა აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება: მაგალითად, ქსოვილების წარმოება გაიზარდა 243 მილიონი კვადრატული მეტრით, სასაცვლე და ზედა ტრიკოტაჟისა — 23 მილიონი ცალით, ტყავის ფეხსაცმლისა — 19 მილიონი წყვილით, ავეჯისა — თითქმის 900 მილიონი მანეთით.

გეგმის მთლიანად წარმატებით შესრულებისას ბევრი სამრეწველო საწარმოს მუშაობაში ადგილი ჰქონდა არსებით ნაკლოვანებებს. მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს საერთო პროდუქციის, ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გეგმა. ცალკეული საწარმოები კვლავ უშვებენ დაბალი ხარისხის პროდუქციას. წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისას არ შესრულებულა გაზის მოპოვების, ტურბინების გენერატორების, ნავთობის აპარატურის, ექსკავატორების, სტანდარტული სახლებისა და სტანდარტული და ტიპური სახლების დეტალების კომპლექტების, საყოფაცხოვრებო მაცივრებისა და სარეცხი მანქანების წარმოების ნახევარი წლის გეგმა.

სამრეწველო საწარმოები სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან ერთად ქმნიდნენ და უზრუნველყოფდნენ წარმოებაში ახალი ტიპების მანქანების, მექანიზმების, აპარატებისა და ხელსაწყოების ათვისებას და უფრო სრულყოფილი კონსტრუქციებით ცვლიდნენ მოძველებულ კონსტრუქციებს.

მრეწველობის ყველა დარგში ფართოდ ხორციელდებოდა საწარმოო-ტექნოლოგიური მოწყობილობის მოდერნიზაცია. სახალხო მეურნეობის საბჭოების მანქანათსამშენებლო საწარმოებში წლის პირველ ნახევარში მოდერნიზებულ იქნა დაახლოებით 30 ათასი ლითონსაჭრელი ჩარხი, სამჭედლო-საწნეხი, სამსხმელო, ხის დასამუშავებელი და სხვა ტექნოლოგიური მოწყობილობა.

ამასთანავე მთელმა რიგმა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს ახალი მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების სერიული წარმოების შემუშავების, დამზადებისა და ათვისების, საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის და წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის გეგმები.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა ხორციელდებოდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა აქტიური მონაწილეობით, რომლებმაც წლის პირველ ნახევარში შეიტანეს 2 მილიონზე მეტი წინადადება. სახალხო მეურნეობაში დაინერგა 1,3 მილიონზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც იძლევა 6,5 მილიარდ მანეთზე მეტ ეკონომიას წელიწადზე გაანგარიშებით.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. მთელი სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისაგან მიღებულმა ზეგეგმითმა ეკონომიამ ნახევარ წელიწადში 2 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა.

მაგრამ ბევრმა სამრეწველო საწარმომ ვერ შეასრულა მათთვის დაწესებული დავალება პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში, არ რეთვე ჰქონდათ მნიშვნელოვანი დანაკარგები წუნისაგან და უნაყოფო ხარჯები. **მოხდა მრეწველობის რენტაბელობის შემდგომი გადიდება,** — გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით მიღებული მოგების თანხა თითქმის 17 პროცენტით გადიდდა.

II. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მუშაკებმა წარმატებით დაამთავრეს საგაზაფხულო თესვა. საგაზაფხულო თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დათესეს 142 მილიონ ჰექტარზე მეტი საგაზაფხულო კულტურები, ხოლო სულ სახელმწიფო დაბმული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ნათესებისა და კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნათესების გათვალისწინებით დათესილია 153 მილიონი ჰექტარი.

საგაზაფხულო ხორბალი დაითესა 3 მილიონ 300 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან, სიმინდი მარცვლად, სასილოსედ და მწვანე საკვებად — 5 მილიონ 700 ათასი ჰექტარით მეტი, საბურღულე კულტურები (ფეტვი და წიწიბურა) — ერთ მილიონ 600 ათასი ჰექტარით მეტი და სამარცვლე პარკოსანი კულტურები — 480 ათასი ჰექტარით, შაქრის ჭარხალი — 330 ათასი ჰექტარით, მზესუმზირა — 360 ათასი ჰექტარით, ბამბა — 20 ათასი ჰექტარით მეტი. აგრეთვე მეტია დათესილი საბოჭკოე სელი და ბოსტნეული.

ზამთრის პერიოდში ჩვენი ქვეყნის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში საშემოდგომო კულტურების გაბოზამთრებისათვის არახელსაყრელი პირობები იყო. ამიტომ ამა წლის გაზაფხულზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ხელახლა დათესეს 8 მილიონი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დაღუპული საშემოდგომო ნათესების ადგილას. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სულ დათესეს 5 მილიონ 700 ათასი ჰექტარით მეტი საგაზაფხულო კულტურები, ვიდრე 1959 წელს. ამაში არ შედის დაღუპული საშემოდგომო ნათესების ადგილას ხელახლა დათესილი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდისა და მზესუმზირას მთელი ნათესების 90 პროცენტზე მეტი, ბამბის ნათესების ორი მესამედი და კარტოფილის ნათესების ნახევარი დათესილია კვადრატულ-ბუდობრივი წესით. ამა წლის გაზაფხულზე უფრო ფართოდ დაიწყო ბამბის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის პროგრესული წესის გამოყენება, როცა ბუდნაში თესლი ითესება მოცემული რაოდენობით.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის (საშემოდგომო და საგაზაფხულო) 1960 წლის მოსავლის ნათესმა ფართობებმა შეადგინა 202,9 მილიონი ჰექტარი ნაცვლად გასული წლის 196,3 მილიონი ჰექტარისა.

მეტ წილ რაიონებში ამინდი ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა განვითარებას და მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემდეგნაირად შეიცვალა:

	საზოგადოებრივი პირუტყვის რიცხვი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1960 წლის 1 ივლისისათვის მილიონობით სული	პროცენტობით 1959 წლის 1 ივლისთან შედარებით
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	57,3	112
აქედან ძროხა	17,3	113
ღორი	45,1	111
ცხვარი	122,9	98

1959 წლის 1 ივლისთან შედარებით **მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა 6,3 მილიონი სულით. აქედან ძროხისა — 2 მილიონი სულით; ღორის სულადობა გადიდდა 4,5 მილიონი სულით.**

გამოზამთრების არახელსაყრელ პირობებთან დაკავშირებით მთელ რიგ რაიონებში რამდენადმე გადიდდა ცხვრის სიკვდილიანობა, აგრეთვე მიღებულია ბატკნის ნაკლები ნამატი, რის შედეგადაც ცხვრის სულადობა რამდენადმე შემცირდა.

ფრინველის რიცხვი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 8 პროცენტით გადიდდა.

პირუტყვისა და ფრინველის სულადობის ზრდასთან ერთად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ხორცის წარმოება გაადიდეს 19 პროცენტით 1959 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

სახელმწიფო ხორცი შეისყიდა 430 ათასი ტონით (პირუტყვის ცოცხალი წონით), ანუ 17 პროცენტით მეტი, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში და 3,4-ჯერ მეტი, ვიდრე დამზადებული და შესყიდული იყო 1953 წლის იმავე პერიოდში.

მიუხედავად საკვების მხრივ სიძნელეებისა, რაც დაკავშირებულია ხანგრძლივ და ცივ გაზაფხულთან, რძის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და რძის სახელმწიფო შესყიდვა გასულ ნახევარ წელს შენარჩუნებული იყო შარშანდელი წლის დონეზე. ხელსაყრელი არ იყო აპრილი და მაისი, ხოლო პირველ კვარტალში და ივნისში რძის წარმოება და შესყიდვა გაიზარდა გასულ წელთან შედარებით.

ამავე დროს ოსეთის სფსრ ბევრი ოლქის, აგრეთვე ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ბელორუსიისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც მეტი საკვები დაამზადეს შემოდგომიდან, მნიშვნელოვნად გაადიდეს რძის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა მთლიანად ნახევარ წელიწადში.

შესყიდულია 4 მილიარდ 860 მილიონი ცალი კვერცხი, ესე იგი 528 მილიონით, ანუ 12 პროცენტით მეტი, ვიდრე 1959 წლის პირველ ნახევარში. განვლილ ნახევარ წელიწადში შესყიდულია 1,9-ჯერ მეტი კვერცხი, ვიდრე დამზადებული და შესყიდული იყო მთელი 1953 წლის განმავლობაში.

გრძელდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება. 1960 წლის პირველ ნახევარში სოფლის მეურნეობაში დატოვებულ იქნა 136 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაანგარიშებით), 32 ათასი სატვირთო ავტომობილი, 24 ათასი მარცვლეულის თვითმავალი კომბაინი, 22 ათასი მწკრივად სამკლელი მანქანა, 74 ათასი ტრაქტორის გუთანი, 51 ათასი ტრაქტორის სათესი მანქანა, 48 ათასი ტრაქტორის კულტივატორი, 43 ათასი ტრაქტორის სათიბელა, 10 ათასი ტრაქტორის ფშვნელი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და მოწყობილობა. სოფლის მეურნეობამ აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღო მინერალური სასუქები.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით 1960 წლის 28 ივნისიდან 11 ივლისამდე საბჭოთა კავშირში იმოგზაურა ინდონეზიის რესპუბლიკის პირველი მინისტრი ი. ბ. ჯუანდა კარტავიჯაია მეულლითურთ. სსრ კავშირში მოგზაურობის დროს ი. ბ. ჯუანდა კარტავიჯაია და მისი თანმხლები პირები, გარდა მოსკოვისა, ეწვივნენ ტაშკენტს, ბაქოს, სოჭს, სტალინგრადსა და ლენინგრადს.

